სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 26 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***გოლჰა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – (განაცხადი №7051/06)***

აპლიკანტი ვოიცეხ გოლჰა ჩეხეთის მოქალაქეა, დაიბადა 1937 წელს და ცხოვრობს სტოჩოვში (ჩეხეთის რესპუბლიკა). კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით ბატონი გოლჰა ჩივის საქმის განხილვის გაჭიანურების გამო, რომელიც მისმა ყოფილმა ცოლმა აღძრა სასამართლოში მეუღლეთა ქონების განაწილების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის გაჭიანურების გამო), ხოლო არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 2 100 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- ***დოროშენკო უკრაინის წინააღმდეგ – (ფანაცხადი №1328/04)***

აპლიკანტი ოლეგ დოროშენკო უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ლუგანსკის რეგიონში (უკრაინა). ბატონი დოროშენკო წინააღმდეგ 2001 წლის მაიში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობით გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, რაშიც ბრალდებულად სცნეს და 2007 წლის ივნისში მიუსაჯეს 5 წლით პატიმრობა. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2008 წლის დეკემბერში. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში), რადგან მის წინააღმდეგ აღძრული საქმის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარეობდა. ასევე ის ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება), რადგან 2001 წლის ივნისში ჩამორთმეული ხელწერილი გაუსვლელობის გამო ჯერაც ძალაშია.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო, ხოლო არ დარღვეულა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 1200 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 74 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.